დიფერენცირებული სწავლება მოსწავლეთა სენსორული სტილის გათვალისწინებით

მაგისტრანტები: ვერიკო ხუბულური,

თეონა ღონღაძე

ნათია სიბაშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად “

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები)

ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ტყავაშვილი, განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

" როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

ვერიკო ხუბულური

ნათია სიბაშვილი

თეონა ღონღაძე

20.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოაგდენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა ს.ს.ი.პ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლაში, მე-2 კლასის მოსწავლეებთან, რათა დადგენილიყო სწავლის სენსორული სტილები და ინტერვენციების საშუალებით შემუშავებულიყო ქართულ ენასა და ლიტერატურაში სენსორული სწავლის სტილის გათვალისწინებით ტექსტის მიწოდების სტრატეგიები და ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარებისთვის შესაბამისი მეთოდოლოგია და აქტივობები, რაც სწავლის პროცესს ეფექტურს გახდიდა.

კვლევის ფარგლებში პრობლემის უკეთ გასაანალიზებლად და ინტერვენციების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები და ინსტრუმენტები. დიაგნოსტირების ეტაპზე- დაკვირვება, ინტერვიუ მასწავლებლებთან, კითხვარი მშობლებთან, კითხვარი მოსწავლეებთან, პრე-ტესტი მოსწავლეებთან. თითოეული ამ მეთოდით მიღებულ იქნა მოსწავლეების შესახებ საჭირო ინფორმაცია ინტერვენციების დაგეგმვისთვის. ინტერვიუმ გამოავლინა, თუ როგორ უმარტივდებათ მოსწავლეებს ახალი ტექსტის გაგება-გააზრება და რა სახის აქტივობები თუ დავალებები მოსწონთ მათ. პრე-ტესტის მეშვეობით კი დადგინდა, ტექსტის მიწოდების რომელი სტრატეგია უმარტივებს მოსწავლეებს შინაარსის გაგებას. შესაბამისად ინტერვენციები დაიგეგმა მოსწავლის როგორც ინტერესების, ასევე სწავლის სტილის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ინტერვენციების პროცესში შემუშავდა გაკვეთილის გეგმები, სადაც გათვალისწინებული იყო დიფერენცირებული მიდგომა სენსორული სწავლის სტილის მიხედვით.

ინტერვენციების დასრულების შემდეგ კი დასკვნების შესაფასებლად გამოყენებულა იქნა: დაკვირვების ოქმის ანალიზი, შეფასების რუბრიკა, ინტერვიუ მასწავლებელთან, ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან, პოსტ-ტესტი, მოსწავლეთა პირველი სემესტრის განმავითარებელი შეფასებების შედარება პოსტ-ტესტის შედეგებთან, ასევე პრე და პოსტ-

ტესტების შედარება, რათა თვალსაჩინო ყოფილიყო თუ რა შედეგი გამოიღო მოსწავლეთა სენსორული სტილის გათვალისწინებამ მათი გაგება- გააზრების უნარის განვითარებაზე.

ინტერვენციების შედეგების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, მოსწავლეების მიერ ტექსტის გაგება-გააზრების დონე გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო თითოეული მათგანისთვის შესაფერისი სწავლის სენსორული სტილის გათვალისწინებით მიწოდებულმა შესასწავლმა მასალამ. პედაგოგთან ინტერვიუმ გამოკვეთა, რომ ინტერვენციების შედეგად კლასში მოსწავლეთა ჩართულობა, მოტივაცია და სწავლის ინტერესი გაიზარდა. ამგვარად, რადგან მოსწავლეთა სწავლის სენსორული სტილის გათვალისწინება ხელს უწყობს ტექსტის გაგება-გააზრების უნარების განვითარებას, მიზანშეწონილია ამ ფაქტორის გათვალისწინება ყველა საგნის სწავლა-სწავლების პროცესში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დიფერენცირება, სენსორული სწავლის სტილი, გაგება-გააზრება.

Abstract

This master's thesis reports on an action research project conducted with second-grade students in the village of Ninotsminda, Sagarejo Municipality. The study aimed to identify the learners' sensory perception styles and develop strategies for presenting texts in Georgian Language and Literature, using relevant methodologies and activities to enhance text comprehension according to their sensory learning styles, ultimately making the learning process more effective.

To analyze the problem and evaluate the interventions, both quantitative and qualitative methods and instruments were applied. During the diagnostic stage, we used observations, interviews with teachers, questionnaires for parents and pupils, and pre-tests with the pupils. Each method provided relevant information for planning the interventions. The interviews revealed how learners find it easier to comprehend and interpret texts, and what activities and tasks they prefer. The pre-test identified strategies that help learners understand the content of the text. Accordingly, the interventions were planned by considering both the pupils' interests and their learning styles.

During the interventions, lesson plans were designed using a differentiated approach based on sensory learning styles. After completing the interventions, the following methods were used to evaluate the outcomes: analysis of the observation reports, evaluation rubrics, interviews with the teacher, focus groups with the pupils, post-tests, and comparisons of the learners' formative assessment comments with the post-test results. This evaluation aimed to clarify the impact of considering learners' sensory styles on the development of their text comprehension skills.

The analysis of the intervention results revealed several key factors. Notably, the learners' level of understanding increased, enhanced by strategies for presenting new material based on their sensory learning styles. Interviews with the teacher indicated that learners' involvement, motivation, and interest in learning had significantly increased. Therefore, considering learners' sensory perception styles contributes to effective learning and it is highly recommended that this factor be integrated into the teaching of all subjects.

Keywords: differentiation, sensory learning style, text comprehension, action research.

მადლობა

მადლობას ვუხდით საგარეჯოს, სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის მე-2 კლასის მასწავლებელს ქალბატონ მანანა როსტომაშვილს, კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის, თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

მადლობას ვუხდით ამავე სკოლის პედაგოგებს, ინტეგრირებული საგნების მასწავლებელს დალი ბუჩაშვილს, საკვლევი კლასის მუსიკის მასწავლებელს თეონა გივიშვილს, საკვლევი კლასის ინგლისურის მასწავლებელს ნინო ქვლივიძეს საკუთარი აზრის გაზიარებისთვის, თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდით ფსიქოლოგ ქეთევან ოსიაშვილს, ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევაში ფასეული კონსულტაციისა და მხარდაჭერისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს განათლების დოქტორსა და ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ეკა ტყავაშვილს სათანადო მხარდაჭერისთვის, უკუკავშირისთვისა და დაუღალავი შრომისთვის.